სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

06/06/2025

MES 1 25 0000633548

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 34-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის” შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 ივნისის №01-05-04/89 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025 წლის 09 ივნისს გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად 4 წლის ვადით, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 ივნისის №01-05-04/89 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების შესაბამისად.
2. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2025 წლის 09 ივლისიდან და გაგრძელდეს 15 ივლისის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, შესაბამის საკონკურსო კომისიის სამდივნოში.
3. კონკურსი ჩატარდეს 2025 წლის 16 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2025 წლის 23 ივლისისა შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.
4. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

რექტორი
გურგენიძე დავით